საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-210

16/02/2021

ქ. თბილისი

ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. ქუტირის მიმდებარე ტერიტორიაზე 5 115 120 მ³/წელ მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუტირის მიმდებარე ტერიტორიაზე 5 115 120 მ³/წელ მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვების სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი (17 შახტური ჭა) მდებარეობს ხონის მუნიციპალიტეტის სოფ. ქუტირის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ საკუთრებაში რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე. წიაღითსარგებლობის ობიექტის (17 შახტური ჭა) GPS კოორდინატებია: 1) X-283281,7; Y-4685636; 2) X-283225,8; Y-4685644; 3) X-283189,8; Y-4685640; 4) X-283166,1; Y-4685652; 5) X-283107,9 Y-4685634; 6) X-283045,2; Y-4685672; 7) X-282946,2; Y-4685539; 8) X-283005,4 Y-4685530; 9) X-283064,5; Y-4685519; 10) X- 283122,5; Y-4685511; 11) X-283181,3 Y-4685501; 12) X-283202,4; Y-4685491; 13) X-283241,9; Y-4685491; 14) X-283300,3; Y-4685480; 15) X- 283360,2; Y-4685471; 16) X-283418,4; Y-4685464; 17) X-283479,1; Y-4685456. სალიცენზიო ობიექტი (17 შახტური ჭა) მდებარეობს კოლხეთის დაბლობზე, მდ. ცხენისწყლის მარცხენა ჭალისზედა I ტერასაზე, ზღვის დონიდან 84-86 მეტრზე. სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია ჰორიზონტალური რელიეფის მქონეა, ურბანიზებული და ათვისებულია სამეწარმეო მიზნებისთვის. სალიცენზიო ჭაბურღილების განლაგების მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარსა და უახლოესი საცხოვრებელი სახლის საკადასტრო საზღვარს შორის მანძილი შეადგენს დაახლოებით 32 მეტრს. ტერიტორიიდან მდ. ცხენისწყალი დაშორებულია დაახლოებით 1,5 კმ-ით.

ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტი მიეკუთვნება ფოროვანი, ნაპრალური, ნაპრალურ-კარსტული წყლების წყალტუბოს არტეზიულ აუზს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მოსაპოვებელი მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობა ჯამში ჩვიდმეტივე ჭაბურღილისთვის შეადგენს დაახლოებით 5115120 მ³-ს წელიწადში. შახტური ჭების სავარაუდო სიღრმეა 15-20 მეტრი. ტერიტორია შესწავლილია რიონი-გუბისწყლის მიწისქვეშა მტკნარი წყლის მეოთხეული ნალექების წინასწარი ძიების სტადიაზე. სალიცენზიო ობიექტის საექსპლუატაციო მარაგი დამტკიცებული არ არის და წარმოდგენილია P (პროგნოზული) კატეგორიით, თუმცა, განცხადების მიხედვით, ჰორიზონტის წყალშემცველობის ხარისხის გათვალისწინებით, შესაძლებელია

წელიწადში 5115120 $მ^3$ რაოდენობის წყლის მოპოვება. მოპოვებული წყლის გამოყენება შესაძლებელია კომუნალური და სოფლის წყალსადენებისათვის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, პირველი წყალშემცველი ფენის წყლები ქიმიური შედგენილობით ძირითადად ჰიდროკარბონატული, კალციუმიანია, იშვიათად ჰიდროკარბონატული კალციუმიან-ნატრიუმიანი, ან კალციუმიან-მაგნიუმიანი ტიპისაა, საერთო მინერალიზაციით 0,5 გ/ლ-მდე, ცვალებადი კარბონატული სიხისტით. ჰორიზონტის წყლების სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. განცხადების მიხედვით, აღნიშნული წყლების კვება ხდება მდინარული წყლების და ატმოსფერული ნალექების ინფილტრაციის ხარჯზე. წყლის ტემპერატურა 12-16° C-ია.

საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით სალიცენზიო ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივ) კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია. ჭაბურღილის ექსპლუატაციის პროცესში გართულებები მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შახტური ჭების კომპლექსი ერთმანეთთან დაკავშირებულია ზიარ-ჭურჭელის პრინციპით, რომლებიც მილებით წყალს კრებს იზოლირებულად არსებულ წყალშემკრებში. განცხადების თანახმად, 17 შახტურ ჭაზე მოწყობილია თავმორთულობა, ძველი რკინაბეტონის თავსახურით, რომლებიც საჭიროებს კეთილმოწყობას და ასევე დაგეგმილია ჭაბურღილების მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება.

სალიცენზიო ობიექტი არ ხვდება სახელმწიფო ტყის ფონდის, დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეები.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

ვინაიდან სალიცენზიო ობიექტი (17 შახტური ჭა) არსებულია და გათვალისწინებულია მხოლოდ მცირე მასშტაბის, კეთილმოწყობის სამუშაოები, დგინდება, რომ ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუტირის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის- მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება. განსახორციელებელი სამუშაოს მასშტაბიდან გამომდინარე, მოსალოდნელია მცირე რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა. ასევე აღსანიშნავია, რომ ჭაბურღილების ექსპლუატაციისას ხმაურით გამოწვეული ზემოქმედება იქნება მინიმალური. მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის და მიწის დაბინძურებას. საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება, ასევე არ არის მოსალოდნელი გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-3 და მე-6 ნაწილების საფუძველზე, ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ხონის მუნიციპალიტეტში, სოფ. ქუტირის მიმდებარე ტერიტორიაზე 5 115 120 $მ^3$/წელ მიწისქვეშა მტკნარი წყლის (სამეწარმეო მიზნით) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ხონის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი